ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)
სხდომის ოქმი
№–2

2021 წელი, 21 დეკემბერი, 11:00 სთ. ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

- ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
- გაიოზ თალაკვაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ოთარ ჩიტიძე - სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ნინო მაღრაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ირაკლი თავართქილაძე - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ცოტნე კობერიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
2. ვახტანგ სურგულაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. „ქ. თბილისში, პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2 010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „გრანდ თაუერისთვის” (ს.ნ: 405269891) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4 057 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის“ (ს.ნ: 243859749) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

10. „ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა III შესახვევი N4-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1968 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს,,ლიტ ჯეო ინვესტისთვის“ (ს.ნ: 243859749) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

11. „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3351 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ნიკე გრუპისათვის“ (ს.ნ: 405385578) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

12. “ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე მეორე სართულზე, მდებარე 53.59 კვ.მ უძრავი ქონების (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.531) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

13. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.606) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

14. “ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1ა-და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

15. “ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტლის კორპუს N6გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.03.048.005.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

16. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის მე-3 ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.062.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

17. „ქალაქ თბილისში, სულუხიას ქუჩა N1 / ჩიტაიას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.001.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.003.071.01.500 და N01.19.17.003.071.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. “ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.536) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. “ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. “ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 99 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. ,,ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ ს/კ.01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ.01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ.01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა**, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ცოტნე კობერიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებზე და განმარტა საქართველოს ორგანული კანონის **„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“** 164-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

ამასთან, **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება - **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება**, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის, განიხილავს და ამზადებს დასკვნას, საკრებულოსთვის წარდგენის მიზნით.**

სამართლებრივი პროცედურული საკითხების მითითების შემდგომ, **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ მ/წლის 3 დეკემბერს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა პარტიული სიით არჩეულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს **თენგიზ კირთაძეს**, ამასთან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულებით, ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება“ პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის თენგიზ კირთაძის (პარტიულ სიაში N1) ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი **ცოტნე კობერიძე** (პარტიულ სიაში N2).

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას **„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“** 164-ე მუხლის - **გათვალისწინებული წესის** დაცვით თან ერთვის საკრებულოს წევრობის კანდიდატის **ცოტნე კობერიძის თანხმობა საკრებულოს წევრობაზე.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განხილვის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ორგანული კანონით **„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“** და ქალაქ

თბილისის საკრეებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული **სამართლებრივი პროცედურები დაცულია,** ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ცოტნე კობერიძის უფლებამოისილება.

მოისმინეს:

2. მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისა, **ლევან ჟორჟოლიანმა** წარმოადგინა, **ვახტანგ სურგულაძის** უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი და აღნიშნა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი განკარგულების თანახმად ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ლელო“ პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ბადრი ჯაფარიძის (პარტიულ სიაში N1) ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი **ვახტანგ სურგულაძე** (პარტიულ სიაში N5).

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის **ვახტანგ სურგულაძის თანხმობა საკრებულოს წევრობაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტი, საკითხის შესახებ მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით და წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განხილვის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ სამართლებრივი პროცედურები დაცულია, შესაბამიასდ, ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ვახტანგ სურგულაძის უფლებამოისილება.

მოისმინეს:

3. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ოთარ ჩიტიძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლში, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების წესს, კერძოდ, მე-2 პუნქტში **ზუსტდება გადმოსაცემი ფართის ოდენობა, რომელიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 კვ.მ.-ს.**

ოთარ ჩიტიძის თქმით, ცვლილება ხორციელდება ასევე წესების 16[1] მუხლის მე-7 პუნქტში და საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობის ცვლილება დასაშვები გახდება იმ ობიექტებისთვისაც, რომელთაც კ-1 და კ-2 მაჩვენებლები ჰქონდათ გადამეტებული.

სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული ცვლილება ემსახურება თანასწორობის პრინციპის დაცვას და მსგავს მდგომარეობაში მყოფ დაინტერესებულ პირთა თანაბარ მოპყრობას.

ოთარ ჩიტიძემ იქვე დასძინა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების 16[1] მუხლს ემატება 16[2] მუხლი, რომელიც **განსაზღვრავს მაკომპენსირებელ ღონისძიებებს იმ ობიექტებისთვის, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი და მოთხოვნილია ფუნქციური დანიშნულების ცვლილება საცხოვრებელი ფუნქციის დაშვების მიზნით.**

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტის** მითითება. ამასთან, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტში განსახორციელებელი ცვლილებით დასამატებელი 16[2] მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16[2] მუხლი. იმ ობიექტებზე, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი, საცხოვრებელი ფუნქციის დაშვებისას მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენება“.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, 16[2] მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ ობიექტებისთვის, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი, მათ შორის, იმ ობიექტებზე, სადაც ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფუნქცია არ იყო დასაშვები, შესაძლებელია საცხოვრებელი ფუნქციის განვითარების მიზნით ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, ამ მუხლით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ოთარ ჩიტიძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ა" პუნქტით დადგენილი რეგულირება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში საცხოვრებელი პროცენტულობის 90%-მდე გაზრდა ვრცელდება ამ ცვლილების ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, გარდა იმ ობიექტებისა, სადაც სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები.

მომხსენებლის თქმით, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვის მიზნით და იმისთვის, რომ არ შეილახოს თანაბარ მდგომარეობაში მყოფ დაინტერესებულ პირთა კანონიერი ინტერესები, მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტში და აღნიშნული რეგულირება გავრცელდეს ყველა აღნიშნულ ურთიერთობაზე, გამონაკლისის გარეშე.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას დედაქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ**, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის **შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები - 3 476,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მცირდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები - 3 253,9 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 220,0 ათასი ლარით. მომხსენებლის თქმით, ბიუჯეტის მოცულობა არ შეცვლილა და იგი კვლავ **1 270 531,8 ათას ლარს** შეადგენს, თუმცა სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ასიგნებები გადანაწილდა;

მათ შორის იზრდება:

- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – **171,5 ათასი ლარი;**
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – **28 764,0 ათასი ლარი;**
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – **15 531,8 ათასი ლარი;**
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - **500,0 ათასი ლარი;**
- საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები - **122,0 ათასი ლარი;**
- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში – **33,8 ათასი ლარი;**
- დასუფთავების ღონისძიებები - **1 438,7 ათასი ლარი;**
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი - **29,0 ათასი ლარი;**
- დაავადებათა სკრინინგი – **115,0 ათასი ლარი;**
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება – **390,0 ათასი ლარი;**
- ტრანსპლანტაცია – **750,0 ათასი ლარი;**
- კომუნალური სუბსიდირება – **145,0 ათასი ლარი;**
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - **100,0 ათასი ლარი;**
- იურიდიული კლინიკა – **19,1 ათასი ლარი;**
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი - **18,8 ათასი ლარი;**
- სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი – **11,7 ათასი ლარი;**
- საკონცერტო ორკესტრი ბიგ-ბენდი – **29,1 ათასი ლარი;**
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი - **9,0 ათასი ლარი;**
- ქ.თბილისის საკრებულო - 318,2 ათასი ლარი;

- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო – 156,0 ათასი ლარი;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო - 350,5 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი – 500,0 ათასი ლარი.

მცირდება:

- გზების მშენებლობა და აღდგენა - 3 950,0 ათსი ლარი;
- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში – 54,9 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში – 801.0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში – 85,0 ათასი ლარი.
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 4 122,0 ათასი ლარი;
- უკანონო ნაგებობების დემონტაჟი - 47,0 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში – 172,7 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში – 744,9 ათასი ლარი, დიდუბის რაიონშ – 165,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში – 120,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში – 38,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში – 100,0 ათასი ლარი;
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 3 000,0 ათასი ლარი;
- გამწვანების ღონისძიებები – 7 880,2 ათასი ლარი;
- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა - 74,0 ათასი ლარი;
- ბიზნესის სტიმულირება – 274,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში - 40,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონშ – 93,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში – 35,8 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში – 30,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში – 40,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში -140,0 ათასი ლარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება – 72,0 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია – 18,0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება – 200,0 ათასი ლარი;
- უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში – 90,0 ათასი ლარი,
- სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება – 10,0 ათასი ლარი;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში – 50,0 ათასი ლარი;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში – 4,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება – 15,0 ათასი ლარი;
- შინმოვლის თანადაფინანსება – 40,0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა – 90,0 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა – 6 082,3 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა – 50,0 ათასი ლარი;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა – 764,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება – 900,0 ათასი ლარი;

- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა – 340,0 ათასი ლარი;
- უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა – 50,0 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე – 400,0 ათასი ლარი;
- თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – 50,0 ათასი ლარი;
- სამეფო უბნის თეატრი – 31,4 ათასი ლარი;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა -556,4 ათასი ლარი;
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები – 75,0 ათასი ლარი;
- მწვრთნელთა მხარდაჭერა – 10,3 ათასი ლარი;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება – 12 961,0 ათასი ლარი;
- წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება – 37,1 ათასი ლარი;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა – 585,0 ათასი ლარი,
- შემოქმედებითი თბილისი – 30,0 ათასი ლარი;
- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში – 96,4 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში – 96,9 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში – 10,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში – 25,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში – 96,7 ათასი ლარი;
- თბილისის მუნიციპალური ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 109,0 ათასი ლარი;
- ცხოველთა მონიტორინგი – 148,5 ათასი ლარი;
- მერიის ადმინისტრაცია – 3 088,4 ათასი ლარი;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური – 70,0 ათასი ლარი;
- გლდანის რაიონის გამგეობა – 36,0 ათასი ლარი;
- ნაძალადევის რაიონის გამგეობ – 138,9 ათასი ლარი;
- დიდუბის რაიონის გამგეობა – 4,7 ათასი ლარი;
- კრწანისის რაიონის გამგეობა – 33,8 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 201 097,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 128 769,5 ათასი ლარის ოდენობით, გრანტები - 210 932,6 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები - 199 667,4 ათასი ლარით.

დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 270 531,8 ათასი ლარით, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 123 314,6 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 699,2) ათასი ლარით.

წარმოდგენილ ცვლილებებთან მიმართებაში შეკითხვები დასვეს:

- ✓ **ანა გოგოლაძე** დაინტერესდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების შემცირებასთან დაკავშირებით. **ანა გოგოლაძე** ასევე დაინტერესდა გარდამავალი ნაშთის თაობაზე.

- ✓ **გიორგი ონიანი** დაინტერესდა, ხომ არ იგეგმაბა უფასო სასადილოებით მომსახურების ქვეპროგრამისთვის თანხის მატება, რათა შესაძლებელი გახდეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარებისთვის საკვების დღიური ულუფების რაოდენობის გაზრდა.
- ✓ **ზურაბ აბაშიძე** დაინტერესდა ქ. თბილისის რაიონების გამგეობების ასიგნებების შემცირებესთან დაკავშირებით.
- ✓ **ლილე ლიპარტელიანის** განცხადებით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროგრამების შემცირების ხარჯზე წლის ბოლოს საჭირო გახდა სარეზერვო ფონდში 500,0 ათასი ლარის მობილიზება, იმ პირობებში, როდესაც მაისში, ივნისში და ივლისში, წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა სარეზერვო ფონდის გაფლანგვა. მისივე თქმით, მაშინ აღნიშნული თანხები პანდემიის მიზეზით დაიხარჯა ბიზნესის სტიმულირებაზე, ახლა კი ხდება აღნიშნული პროგრამის შემცირება – 274,0 ათასი ლარით.
- ✓ **გიორგი შარაშიძე** დაინტერესდა წელიწადის დასასრულს სარეზერვო ფონდში 500,0 ათასი ლარის მობილიზების აუცილებლობაზე. გიორგი შარაშიძე ასევე დაინტერესდა ამ თანხის მიზნობრიობის შესახებ.
- ✓ **საბა ბუაძემ** დაინტერესება გამოხატა იმ სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით, რომელთა დაფინანსებაც მცირდება. **საბა ბუაძე** ასევე დაინტერესდა იმ არაფინანსური აქტივების ჩამონათვალით, რომელთა რეალიზაციის შედეგად იზრდება მისაღები შემოსავლები.
- ✓ **საბა ბუაძემ** განაცხადა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლები დეკემბრის თვის ბოლოს საახალწლო პრემიის სახით მიიღებენ დამატებითი ხელფასის 70%–ს ნაცვლად 100%–ისა. საბა ბუაძე დაინტერესდა აღნიშნულის მიზეზით.

დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შემდეგი განმარტებები იქნა გაცემული მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ:

- ✓ ანა გოგოლაძის შეკითხვასთან დაკავშირებით, **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ 220,0 ათასი ლარი გახლავთ ევროკავშირის გრანტი, რომელიც 2021 წელს უნდა ჩარიცხულიყო, თუმცა, შეთანხმებით, აღნიშნული თანხა ჩაირიცხება 2022 წელს. მისივე თქმით აღნიშნული კლების სახით აისახება 2021 წლის დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში, ხოლო 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში მოხდება ამ თანხის გაზრდა.
- ✓ **გაიოზ თალაკვაძის** თქმით გარდამავალი ნაშთი შესაძლოა იყოს 20 - 30 მილიონი ლარის ფარგლებში.
- ✓ უფასო სასადილოებთან დაკავშირებით, **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ თუკი შევადარებთ გასულ წლებს, შესაბამისი ინსტიტუციის მიერ მოხდა კალორაჟის გაზრდა და ახალი მენიუს შედგენა, რომლის მიხედვით დადგინდა მენიუს სავარაუდო ღირებულება 1 ლარი და 70 თეთრი. მისივე თქმით, ტენდერის ჩატარებისას შესაძლოა თანხა დაემატოს, ნაკლებობის შემთხვევაში, ეკონომიები მოხმარდება მომლოდინეების ამ პროგრამაში ჩასმას.
- ✓ ქ. თბილისის რაიონების გამგეობების შემცირებულ ისიგნებებთან დაკავშირებით, **მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა** აღნიშნა, რომ ყველა შემცირება გამოწვეულია ან სატენდერო ეკონომიებით ან სამუშაოების ეკონომიებითა ან იმ ხელშეკრულებების ეკონომიებით, რომლებიც წლის ბოლომდე ვერ მოესწრო და მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გადავიდეს.
- ✓ **გაიოზ თალაკვაძე** მერიის სარეზერვო ფონდიდან თანხების საარჩევნოდ ხარჯვასთან დაკავშირებით გამოთქმულ ბრალდებას გამოეხმაურა და განმარტა, რომ აღნიშნული

ფონდი არჩევნების პერიოდში არ ფუნქციონირებს. ეს კანონით აკრძალულია. „დანარჩენ შემთხვევაში, ვეხმარებით ყველას, ვინც ამას საჭიროებს, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. ეკონომიკური შეღავათების ფარგლებში, თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა მოცულობის ფინანსური დახმარება გაეწიათ პანდემიით ყველაზე მატად დაზარალებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ეს არის საჯარო ინფორმაცია და პროცესი არის გამჭვირვალე“ -, აღნიშნა გაიოზ თალაკვაძემ.

- ✓ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე - ლევან არველაძე გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის ბრალდებას მერიის სარეზერვო ფონდის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესახებ და დაინტერესებულ პირს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ეკონომიკური შეღავათების ფარგლებში დაფინანსებული ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე.
- ✓ **გიორგი ტყემალაძემ** ლილე ლიპარტელიანის საპასუხოდ აღნიშნა, რომ 2022 წელს იგეგმება მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების დაწესება პანდემიით დაზარალებული იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მიმართ გააჩნიათ გარკვეული ვალდებულებები.
- ✓ **გაიოზ თალაკვაძემ**, ბიზნესის სტიმულირების პროგრამის შემცირების მიზეზად, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები ფინანსური მხარდაჭერის გადავადება დაასახელა.
- ✓ **გიორგი შარაშიძის** კითხვის საპასუხოდ **მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა** აღნიშნა, რომ ვინაიდან სარეზერვო ფონდის სახსრები ძირითად ამოწურულია, ხდებას სარეზერვო ფონდის ასიგნების გაზრდა – **500,0 ათასი ლარით.** აღნიშნული თანხა დაიხარჯება გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად როგორიცაა მაგალითად ხანძარი მთაწმინდისა და ისნის რაიონებში, მეწყერი ლორთქიფანიძის ქუჩაზე და ა.შ.
- ✓ საბა ბუაძის შეკითხვასთან დაკავშირებით, **გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, რომ ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები დაკავშირებულია ბენეფიციართა რაოდენობაზე. მისივე თქმით ფაქტობრივი შესრულებიდან გამომდინარე მოხდა აღნიშნული შემცირება, ხოლო ეკონომიები გადანაწილდა ჯანდაცვისა და სოციალურ სხვა პროგრამებზე, მთლიანობაში კი ჯანდაცვის მიმართულება ამ ცვლილებებით იზრდება.
- ✓ **გაიოზ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ მიღებულ იქნა ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ებსა და ააიპ-ებში საახალწლო ჯილდო გაიცემა ერთნაირად, ხელფასის 70%.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა - ირაკლი თავართქილაძემ უპასუხა საბა ბუაძის შეკითხვას და განმარტა, რომ ძირითადათ ხდება უძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით პრივატიზება/რეალიზაცია. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება შესაბამისს ვებგვერდზე და არის ყველასთვის ხელმისაწვდომი, ასევე გამოთქვა მზადყოფნა მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც დეტალური ინფორმაციის წარდგენასთან, ასევე განხილვასთან დაკავშირებით.

გიორგი ონიანმა გამოიყენა შეკითხვის დაზუსტების ფორმატი და ინიციატივის სახით გამოთქვა წინადადება იმის თაობაზე, რომ 2021 წლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების (ნაშთი) გამოყენება მოხდეს უფასო სასადილოებით მომსახურეობის ქვეპროგრამაზე, რათა მოხდეს 1 ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხის 2 ლარამდე გაზრდა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩიკვილაძის განმარტებით, თბილისში 63 სასადილო დაახლოებით 40 ათასი სოციალურად დაუცველ ადამიანს ემსახურება. მისივე თქმით, უფასო სასადილოებით მომსახურეობის ქვეპროგრამა არ არის იდეალური, თუმცა ყოველწლიურად ხდება პროგრამული ბიუჯეტის ზრდა. 2022 წლიდან იგეგმება ზემოთხსენებული პროგრამის ბიუჯეტის ზრდა 6 მილიონი ლარით და წარმოდგენილი იქნება ჯამში 26 მილიონი ლარით. ამასთან უფასო სასადილოებით მოსარგებლეებისთვის კვების რაციონი და კალორაჟი შემუშავებულია და მოწოდებულია სპეციალისტების მიერ. ზურაბ ჩიკვილაძემ გამოთქვა მზაობა ითანამშრომლოს კომისიის ყველა წევრთან აღნიშნულ საკითხზე ახალი ინიციატივების წარმოდგენის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ,

ასევე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ნინო მაღრაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისიწნებული, რიგით მე-6 საკითხი და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში, ცვლილების შესაბამისად, ხდება, ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მაღალია ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი. მისივე თქმით, აღნიშნული ობიექტებისთვის საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი. ამასთან, შპს „თბილისის სატრანსპორტო

კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საჭიროებს ფინანსურ რესურს, რომლის უდიდეს ნაწილს სუბსიდირების სახით გამოყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. კომპანიის მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა შუფერხებლად იმუშაოს, საჭიროა გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენა.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ქვეპუნქტის მიხედვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს: სპორტის დარგში საქმიანობისათვის, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1 ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსტეტი-ბაგები“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მათ მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს **2023 წლის 1 იანვრამდე.**

დასასრულს **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ტრანსპორტისა და სპორტის ობიექტებისათვის დადგენილი შეღავათი გავრცელდება **2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.**

აზრი გამოთქვეს:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - გიორგი ჩაკვეტაძემ დააფიქსირა დადებითი პოზიცია საგადასახადო შეღავათების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ანა გოგოლაძემ პროექტის მიმართ გააჟღერა შემდეგი **შეკითხვები:**

- **პროექტის მიღება მოახდენს თუ არა გავლენას დედაქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.**
- **რა პრინციპით ვრცელდება საგადასახადო შეღავათი კერძო სექტორში მოქმედ სპორტულ ობიექტებზე.**
- **არის თუ არა წარმოდგენილი კერძო სექტორში მოქმედი სპორტულ ობიექტებების მხრიდან ფინანსური დასაბუთება საგადასახადო შეღავათების საჭიროებასთან დაკავშირებით.**

გიორგი ჩაკვეტაძის მიერ შემდგეგი განმარტებები იქნა გაკეთებული დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით.

- **გიორგი ჩაკვეტაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი შეღავათი მოქმედებს საქართველოს ეროვნული კლასიკატორით განსაზღვრულ სპორტულ ობიექტზე, სპორტულ კლუბებზე და ფიტნეს ობიექტებზე. მისივე თქმით კლასიფიკატორის კოდით განსაზღვრება, მათ შორის კომერციული დაწესებულებები, რომელთა საქმიანობაც არ არის მომგებიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალური ააიპ-ებისა და კომერციული დაწესებულებების გამიჯვნა დისკრიმინაციის კუთხით არის შეუძლებელი.

- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ** განაცხადა, რომ წარმოდგენილი ინიციტივა ძალიან მნიშვნელოვანია სპორტული სექტორის განვითარებისთვის, ამასთან ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაციის კუთხით. რაც შეეხება დასაბუთებას, გიორგი ჩაკვეტაძის თქმით შესაბამის უწყებაში წარდგენილია, კალარბურთისა და ფეხბურთის ფედერაციების წერილობითი მოთხოვნა, **საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით.**

- **გიორგი ჩაკვეტაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ხარჯვით ნაწილზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებისპროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსიმა - **ირაკლი გვილავამ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებით დამტკიცებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შემდეგი პროგრამისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესი:

- პროგრამა - „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“
- ქვეპროგრამა - „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“
- ქვეპროგრამა - „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“
- ქვეპროგრამა - „სპორტული ღონისძიებები“
- ქვეპროგრამა - „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“

ირაკლი გვილავას თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიური თამაშები/სახეობები, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით ზუსტდება ჩანაწერი და ემატება პარალიმპიური თამაშები და პარალიმპიური სახეობები.
საკითხის წარმომდგენის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტით, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის ყველა სპორტსმენის წახალისების მიზნით, წესის (დანართი N2), მე-3 მუხლის მე-8, მე-9 პუნქტებში და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში ემატება შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „ინდივიდუალურ, წყვილთა/ჯგუფთა, გუნდურ (პირად-გუნდური) სპორტის სახეობებში".

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ ასევე, წესში არსებული მოქმედი ჩანაწერის თანახმად, ის სპორტსმენები ჯილდოვდებიან, რომლებიც წლის პირველი იანვრისთვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შეტანის დღისთვის უწყვეტად არიან თბილისში რეგისტრირებული. წარმოდგენილია ცვლილება იმ სპორტსმენების დაჯილდოების მიზნით, რომლებიც ყოველი წლის პირველი იანვრისთვის არ იყვნენ რეგისტრირებული ქალაქ თბილისში. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებით შესაძლებელი გახდება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების და ოლიმპიური/პარალიმპიური თამაშების დაწყების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღისთვის ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოვება.

საკითხის წარმომდგენმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცვლილებაში - წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში დაემატოს საქართველოს ეროვნული ფედერაციის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის ვალდებულება, ხოლო წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში დაემატოს საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის ვალდებულება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია დაეთანხმა ზემოაღნიშნული ცვლილებების დადგენილების პროექტში გათვალისწინებას.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ჩაკვეტაძემდა ავთანდილ ცინცაძე მიესალმნენ აღნიშნულ ინიციატივას. ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ სპორტსმენები, რომლებიც მოღვაწეობენ დედაქალაქის სახელით, დამსახურებისამებრ უნდა იღებდნენ შესაბამისი პრემირებას.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ნაცვლად დადგენილების მიღების თარიღისა მიეთითოს დადგენილების გამოქვეყნების თარიღი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ;

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2 010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „გრანდ თაუერისთვის" (ს.ნ: 405269891) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიზნად ისახავს, ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, **2010 კვ.მ,** მიწის ნაკვეთის ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის **27 (ოცდაშვიდი) პირი)** და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია **„გრანდ თაუერისთვის", სიმბოლური ფასად – 1 (ერთი)** ლარად საკუთრებაში გადაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ, კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის **N419** განკარგულების შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს** დაევალა ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხსენებელმა ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- 2021 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რის მიზანსაც წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ, **2 010 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, **მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.**

- (განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტად (კ-2) განისაზღვრა **კ2=4.6** (ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2), ხოლო, კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) მინიმალური ოდენობა - **950 კვ.მ-ისოდენობით).**

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა **შპს„რესტარტი"**, რომელმაც წარმოადგინა კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი ფართის თეთრი კარკასის მდგომარეობით ყველაზე მაღალი შეთავაზება **1750 კვ.მ.–ს ოდენობით.**

- მოგვიანებით, აღნიშნული სუბიექტის უფლებამონაცლედ განისაზღვრა **შპს „გრანდ თაუერსი“**, რომელმაც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა **1 000 000 (ერთი მილიონი)** ლარის ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.

- სააგენტომ უზრუნველყო სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებელ პირთა სიის ფორმირება, კოოპერატივის წევრთა რიგითობა, განსაღვრულ იქნა დაბალი სარეიტინგო სოციალური ქულების და სააგენტოში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

- რამდენიმე კოოპერატიულ წევრს, **(16 პირი)**, ანალოგიური სოციალური პროექტის ფარგლებში **2019 წელს** საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებული **16 885 კვ.** მ ფართობი მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული ფართობები. თუმცა, მოგვიანებით, აღნიშნული პირების მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი - ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი შეფერხდა, ზოგიერთი პირის მიერ, შესაბამის ხელშეკრულების **ხელმოწერაზე უარის თქმის გამო.**

- ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ზემოაღნიშნული **16** პირის წინამდებარე პროექტში გათვალისწინება, მათი მხრიდან პეტრე იბერის მიმდებარედ არსბული მიწის ნაკვეთიდან **მათთვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე უარის თქმის სანაცვლოდ. აგრეთვე ამავე პროექტით** განკარგულების დანართი N1-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია ყოფილი N629 საბინაო-სამშენებლო **კოოპერატივის წევრის ჟენია წიქარიშვილის (პ.ნ: 01024063813) უფლებამონაცვლის ნინო რაზმაძის** (პ.ნ: 01024040721) დაკმაყოფილება. იმის გთვალისწინებით, რომ **N629 კოოპერატივის მიმართ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალი დაფარულია**, აღნიშნულ პირს, სააგენტომ წერილით შესთავაზა ალტერნატივა: იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყოდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გ გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან მის მიერ მიღებულ წილზე (რაც შემდგომში გამოიკვეთა) და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოსცემდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, სააგენტო არ შეწყვეტდა მასთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.487.636 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის N218 განკარგულებების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებას და ისარგებლებდა ყველა იმ უფლებით, რასაც აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს. მითითებული პირის მიერ წარმოდგენილი იქნა წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც იგი უარს აცხადებს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64) N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობიდან მის კუთვნილ წილზე სრულად და თანახმაა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნასა და უფლებასთან ერთად, უსასყიდლოდ საკუთრებაში

გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, რასთან დაკავშირებითაც არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება, წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი ასევე ითვალისწინებს, მითითებულ პირობასაც.

- კოოპერატივის წევრების (27 (ოცდაშვიდი) პირი) მიერ, სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე დასტურდება, რომ საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის გაცემის შემთხვევაში, დაინტერესებული პირები თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ **2010 კვ.მ, ფართობის** მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ონიანის მოსაზრებით, ბიზნესში 20%-იანი მოგება არის ნორმალური. მისივე თქმით ევროპის ქვეყნებში ეს პროცენტი კიდევ უფრო დაბალია, თუმცა, წარმოდგენილ პროექტებში იკვეთება, რომ სამშენებლო სექტორისთვის მოგება ბევრად მეტია ვიდრე 20% და 30%. შეასაბამისად ჩნდება კითხვები ერთ პირთან კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით.

გიორგი ონიანის თქმით, იმისთვის რომ მსგავსი პროექტების მიმართ არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები და ნებისმიერი ობიექტური პირის მხრიდან არ დაისვას საკითხი ამა თუ იმ პირის პრივილეგირებულობის შესახებ, სასურველია, ექსპერტიზამ დაადგინოს ყველა კონკრეტული პროექტის რეალური ღირებულება.

